ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ჩახრუხაძის ქ. №15



თბილისი
2018, ოქტომბერი

საკვლევი ტერიტორია „ზემო კალას“ ისტორიული უბანის შუაგულში. ყოფილი სომხური ბაზარს, ამჟამად ლესელიძის ქუჩასა და ერეკლე II-ის მოედანს შორის – ჩახრუხაძის, ავლევის და იეთიმ გურჯის ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარეობს.

„ზემო კალას“ ეს ნაწილი ძველი ქალაქის განაშენიანების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილია, რადგან ის ე.წ. ერეკლეს (ადრე სამეფო) მოედნის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს და თბილისის ისტორიული ბირთვის ორგანული შემადგენელია.



აღა-მაჰმად-ხანის მიერ ქალაქის აოხრების შემდეგ, შუასაუკუნეების ქალაქის კვალი ქალაქის ამ უბანში თითქმის საბოლოოდ წაიშალა. აღარ შემოგვრჩა მეფეთა სასახლის და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების ნაშთები. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სამეფო მოედანს გუბერნატორის მოედანი ეწოდა და 1809 წელს გუბერნატორის სახლი აიგო. XIX ს-ის I მეოთხედში აშენდა საქართველოს ეგზარქოსის რეზიდენცია (საპატრიარქო) და სინოდალური კანტორა. ამ დროს მოედანს ეგზარქოსის მოედნის სახელი ეწოდა.



მოედანს უშუალოდ ეკვრის კარის ეკლესია, დივან-ხანა, ზარაფხანა, სტამბა, აბანო და სხვა დაწესებულებები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან მოედანს ავგუსტ ბებელის, ხოლო უფრო გვიან ერეკლე II-ის სახელი ეწოდა. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში კალა (ზემო კალა) თბილისის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი იყო.

XIX საუკუნის 30-იანი წლების თბილისის ამ ნაწილის სახე მშვენივრად ჩანს შესანიშნავ პანორამაზე, რომელიც 1831 წელს დახატა ნ. ჩერნეცოვმა.



კალას „ზემო უბანში იყო განლაგებული უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (ანჩისხატი, სიონი, ნათლისმცემელი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის

და სხვა), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი, თავადების (ამილახვარის, მუხრანბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანისა და სხვ) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთ-ერთი სომხური ეკლესია – სურფნიშანი“



აღნიშნულ ქუჩათა ქსელი შუასაუკუნეებიდან მომდინარეობს, რისი მიმანიშნებელია მათი მრუდხაზოვნება და სივიწროვე. XIX საუკუნეში ქალაქის დაგეგმარების ახალი მოთხოვნები მძიმედ ეგუებოდა ძველი ქალაქის ისტორიულ ხასიათს, მაგრამ საბედნიეროდ, იმპერიული მთავრობის მოთხოვნით აგებული ახალი სახლები კვლავ შუასაუკუნებრივ ნასახლარებზე იგებოდა, რამაც შეინარჩუნა ამ უბანში სახასიათო მხატვრული კომპოზიციები. უბნის მასშტაბი ძირითადად ორ-სამსართულიანი იყო, თუმცა აქვე იყო განლაგებული იმდროინდელი თბილისის მსხვილი ადმინისტრაციული ნაგებობები: ეგზარხატი, პოლიციის სამმართველო, გუბერნატორის სასახლე. კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო ქუჩა, რომელიც დღეს ჩახრუხაძის სახელს ატარებს, ისტორიულ რუკებზე ბაგრატიონის ქუჩად არის ცნობილი, რადგანაც სწორედ ამ ქუჩის ბოლოს მდებარეობდა მეფეთა სასახლე და კარის ეკლესია.

ზემომოყვანილ ჩერნეცოვის ნახატზე საკვლევი ტერიტორია ბანიანი განაშენიანებით არის დაფარული, რაც მოგვიანებით ორ-სამსართულიანი აივნიანი და სახურავებიანი ნაგებობებით ჩანაცვლდა.



ამ პერიოდის ამსახველი ზუსტი საარქივო ფოტომასალა სამწუხაროდ არ მოგვეპოვება, რადგანაც ეს ტერიტორია უბნის განაშენიანების სიღრმეში მდებარეობს და ძველი თბილისის პანორამულ ფოტოებზე ძნელი ამოსაცნობია. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ორ-სამსართულიანი მიჯრით ნაგები აგურის სახლებიდან ერთ-ერთია ჩვენთვის საინტერესო ობიექტი – ჩახრუხაძის ქ. №15, რომელსაც ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ღია ხის ელემენტები: აივნები და შუშაბანდები გააჩნია და კლასიცისტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი საფასადე გადაწყვეტა. ნაგებობა სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ამგვარად გამოიყურებოდა.





რის შემდგომაც მას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და დღევანდელი იერსახე ნაკლებად ასახავს ძეგლის თავდაპირველ მდგომარეობას.

ჩახრუხაძის ქუჩის მხარეს მიმართული ორსართულიანი ნაწილი მაღალი პარაპეტით მნიშვნელოვნად შეიცვალა დეკორატიული მორთულობის და საერთო იერსახის კუთხით. ფასადზე გაჩნდა ფსევდო კაზმულობითი ელემენტები,

ისეთები, როგორც არის ფანჯრების ხვეული თავსართები და ზედმეტად მკვეთრად გამოიყო კედლის რუსტირებული ნაწილები. თავდაპირველ ვარიანტში ძეგლის ფასადი იყო უფრო ერთგვაროვანი, მშვიდი და არქიტექტურულად მთლიანი.





განსაკუთრებით შეცვალა შენობის იერსახე საფასადე ფერის ცვალებადობამ - თბილი ოხრის ნაცვლად, უღიმღამო მონაცრისფრო-მომწვანო ტონალობით შეღებვა არ მიესადაგა კალაუბნის განაშენიანების აუთენტურობას და სარეაბილიტაციო არეალში შესულ ნაგებობებს თბილისური ხასიათი დაუკარგა. ამის გარდა, შენობის პირველ სართულზე სახე იცვალა ღიობების ადგილმდებარეობამ. სახლის კიდეში არსებული სადარბაზო კარი მის ცენტრში აღმოჩნდა.




შავთელის ქუჩის მხარეს მიმართული ძეგლის ეზოს ნაწილი შედარებით ნაკლებად შეიცვალა, კერძოდ, აქ ადრე არსებული ხის გალერეა-აივნების სისტემა კვლავ აღდგა იდენტური ნახატის მიხედვით, ზედა სართულს მოეხსნა გვიანდელი შუშაბანდი, ხოლო ეზო გამოთავისუფლდა მასში არსებული

გვიანდელი ჩანაშენისაგან, თუმცა, ამ შემთხვევაშიაც დაიკარგა მცირე არქიტექტურული დეტალები, კერძოდ, ლავგარდანის ორნამენტი, რომელიც ახალ პროექტში აღარ აისახა.





რეაბილიტირებული ნაგებობის ეზო ნაწილობრივ უკვე ადაპტირებულია ღია კაფედ, რაც მნიშვნელოვნად აცოცხლებს და ანვითარებს ძველი უბნის ცხოვრებას.





აგრეთვე სახე იცვალა რეკონსტრუქციის შემდგომ შენობის სახურავმა, რომელზედაც ერთი სამერცხულის ნაცვლად სამი გაჩნდა, რომლებსაც ყველა რეაბილიტირებული სამერცხულებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტები მოსავს.





რეკომენდაციები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ჩახრუხაძის ქ. №15 უკნასკნელ პერიოდში ჩატარებული რეაბილიტაციისას ნაწილობრივ შეიცვალა და რამდენიმე ისეთი მახასიათებელი დაკარგა, რომელიც მის გამორჩეულობას ქმნიდა. როგორც კვლევაში აღვნიშნეთ, ასეთი იყო ძეგლის ფერადოვნება, ერთიანი და დახვეწილი საფასადე გადაწყვეტა და მცირე, მაგრმ მნიშვნელოვანი დეტალების არსებობა, რომლებიც სამწუხაროდ, რეაბილიტირებულ ნაგებობაზე აღარ არსებობს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია ძეგლის ადაპტაციისათვის რეკომენდაციების შემუშავება, კერძოდ:

- ვინაიდან ნაგებობის საფასადე მხარეს სადარბაზო კარის ადგილი დავდაპირველი არ არის და ის შეცვლილია, მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი კვლავდაბრუნება სახლის კიდეზე;
- ვინაიდან ნაგებობის სხვენის ნაწილი ასევე სახეცვლილია და მასზე სამი შეუსაბამო სამერცხული გაჩნდა, შესაძლებლად მიმაჩნია მისი ტრანსფორმაცია მანსარდულ სართულად სხვენის სრულფასოვანი ათვისების მიზნით;
- შენობის ეზოს მხარეს არსებული ფლიგელის ქვედა ნაწილის გარდაქმნა ღია გალერეად, ხოლო მის ზემოთ შემინული შუშაბანდის მოწყობა არ შეცვლის რეაბილიტირებული ნაგებობის საერთო იერსახეს და მეტ საშუალებას მისცემს რევიტალიზაციის კუთხით;
- შენობის დაკარგული ფერადოვნება, ვფიქრობ, აღსადგენია ძველი ქალაქის აუთენტური ნაირფერობის აღსადგენად.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი